*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: რაინდი როდონაია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

გიორგი მოდებაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა სონღულაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენე ოგბაიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარინე შანშიაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ჩილინგარაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თეა ღვინიანიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

რ. როდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნანა შალამბერიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ევგენი გუგულაშვილი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

კობა დეკანაძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ლანა კუჭავა-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 226526248 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2 |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2 |
| საფოსტო ინდექსი | 0105 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | skolebi@emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi212@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577616111 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება N1312692, 05/10/2023წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 24-25 ოქტომბერი 2023 წელი. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული ენა | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული ენა | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული ენა | თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N1312692, 05/10/2023 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 24 და 25 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლაში. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე რაინდი როდონაია, ჯგუფის წევრი ექსპერტი გიორგი მოდებაძე და საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტი ნანა სონღულაშვილი. დანარჩენი საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით. ვიზიტის დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრების ერთობლივი მუშაობით შეიქმნა დასკვნა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რ. როდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ. ხოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 250 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას | სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | |
| *ინდიკატორი N3.5.1.3* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | 1.სკოლამ უზრუნველყოს რესურსოთახის მოწყობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში.<br><br>2. სკოლამ უზრუნველყოს მე-2 სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის მოწყობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | ............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | 1.სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.<br>2.სასურველია სკოლამ უზრუნველყო სკოლის შენობის სეისმომედეგ მშენებლობის ნორმებთან შესაბამისობა. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(dawyebiTi safexuri) | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლ საზოგადოების ინტერესები; | დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმ განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგ სკოლის სპეციფიკას, კონკრეტულა განისაზღვროს სასკოლო საზოგადოებ წევრთა ინტერესის დადგენ პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობებ რაც ხელს შეუწყობს სასკოლ საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენისა დაფიქსირების სისტემურობას. |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი/ე წარმოადგენს მოსწავლე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვი და განვითარებისგზას; | სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურ კლასებში კურიკულუმებ დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნებე დამუშავდება თემაში გაწერილი საკითხებ შესაბამისად და განისაზღვროს ქვეცნებებ აგრეთვე განისაზღვროს ყველა თემა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმ შედგენის დროს ყურადღება გამახვილდ ძირითადი და დამატებითი ტექსტებ შერჩევაზე, კონტექსტმაგალითებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | მისადაგებასა და მრავალფეროვან<br>რესურსების გამოყენებაზე. |
| *ინდიკატორი N2.1.2.2* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | სახელმწიფო ენის კათედრის დაწყები<br>საფეხურზე სასურველია კურიკულუმ<br>შემუშავების პროცესში ისე იყოს საკითხებ<br>შერჩეული, რომ ერთი თემის ფარგლებშ<br>აქტიურდებოდეს ყველა სამიზნე ცნებ<br>მიუხედავად იმისა, ამუშავებენ თუ არა<br>სამიზნე ცნებებს კომპლექსურ<br>დავალებებით. |
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>(საბაზო საფეხური) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლ<br>საზოგადოების ინტერესები; | დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმ<br>განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგო<br>სკოლის სპეციფიკას, კონკრეტულა<br>განისაზღვროს სასკოლო საზოგადოებ<br>წევრთა ინტერესის დადგენ<br>პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობებ<br>რაც ხელს შეუწყობს სასკოლ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენისა დ დაფიქსირების სისტემურობას. |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი/ებ წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარებისგზას; | სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის მე- მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმებშ დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნებებ დამუშავდება თემაში გაწერილი საკითხებ შესაბამისად და განისაზღვროს ქვეცნებებ აგრეთვე განისაზღვროს ყველა თემაშ სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საბაზო საფეხურის კურიკულუმ შედგენის დროს ყურადღება გამახვილდე ძირითადი და დამატებითი ტექსტებ შერჩევაზე, კონტექსტ მაგალითებ მისადაგებასა და მრავალფეროვან რესურსების გამოყენებაზე. |
| *ინდიკატორი N2.1.2.2* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | სასურველია, საბაზო საფეხურზ სახელმწიფო ენის კათედრის მი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | იყოს საკითხები შერჩეული, რომ ერთ თემის ფარგლებში აქტიურდებოდეს ყველ სამიზნე ცნება, მიუხედავად იმის ამუშავებენ თუ არა ამ სამიზნე ცნებებ კომპლექსური დავალებებით. |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლ საზოგადოების ინტერესები; | დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმ განვითარების მეთოდოლოგია" მოერგ სკოლის სპეციფიკას, კონკრეტულა განისაზღვროს სასკოლო საზოგადოებ წევრთა ინტერესის დადგენ პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობებ რაც ხელს შეუწყობს სასკოლ საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენისა დ დაფიქსირების სისტემურობას. |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი/ებ წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარებისგზას; | სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის მ 10, მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებშ დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნებებ დამუშავდება თემაში გაწერილი საკითხებ შესაბამისად და განისაზღვროს ქვეცნებებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | აგრეთვე განისაზღვროს ყველა თემაშ სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საშუალო საფეხურის კურიკულუმ შედგენის დროს ყურადღება გამახვილდ ძირითადი და დამატებითი ტექსტებ შერჩევაზე, კონტექსტ მაგალითებ მისადაგებასა და მრავალფეროვან რესურსების გამოყენებაზე. მე-12 კლასის კურიკულუმშ განისაზღვროს შუალედური სასწავლ მიზნები. |
| *ინდიკატორი N2.1.2.2* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | სახელმწიფო ენის კათედრის საშუალ საფეხურზე სასურველია კურიკულუმ შემუშავების პროცესში ისე იყოს საკითხებ შერჩეული, რომ ერთი თემის ფარგლებშ აქტიურდებოდეს ყველა სამიზნე ცნებ მიუხედავად იმისა, ამუშავებენ თუ არა სამიზნე ცნებებს კომპლექსურ დავალებებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*
*სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებულ ყველა ხარვეზთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილება ასახა დასკვნაში. სტანდარტის შესაბამისად რიგი კომპონენტებისა სრულად შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა კი მეტწილად შესაბამისად.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

## 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლის შესაბამისად სკოლის მისიაა აღზარდოს ინტელექტუალური, შემოქმედი, კრიტიკული აზროვნებისა და ტოლერანტული ფასეულობების მქონე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიმღები ინდივიდი, რომელიც ტრადიციებსა და კულტურულ ღირებულებებზე დაფუძნებით, საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების უწყვეტი განვითარებით შეძლებს თანამედროვე, მრავალფეროვან და გამოწვევებით სავსე საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. სკოლის ხედვაა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი შეთავაზება. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისიაა მომავალ თაობას განუვითაროს კრიტიკული აზროვნება, ორიენტირებული იყოს პიროვნულ განვითარებაზე და აღზარდოს დამოუკიდებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილების მიმღები ინდივიდი, რომელიც დაეყრდნობა ტრადიციებსა და კულტურულ ღირებულებებს. სკოლის ხედვა დაფუძნებულია პრინციპზე, რომ იყოს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული, ხელი შეუწყოს და წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები და შესთავაზოს მათ თანამედროვე ტექნოლოგიები, იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, რაც გვიჩვენებს, რომ სკოლის მიზანია იყოს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე. ამის დასტურია ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს სკოლაში. სკოლის საგაკვეთილო თუ არაფორმალური აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და განვითარებისკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის შექმნაზე. აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ წარედგინა შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის შექმნაზე და სასკოლო საზოგადოების წევრების აზრების ურთიერთშეჯერებით მიღებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს საშუალება, რომ გაეცნოს მას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება „სსიპ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები სკოლის ფილოსოფიაზე

სკოლისთვის სახელის მინიჭების ბრძანება

სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომების, მოთხოვნებისა და სამუშაო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპები და შესრულების მონიტორინგი. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი პრინციპებია: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე. მასში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი შვიდი წლის განმავლობაში, ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების დრო. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქტივობები ძირითადად შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი დამტკიცება, მაგრამ არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3. სკოლას აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი მისი დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი მოიცავს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებული აქტივობების ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი მისი დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანო სამოქმედო გეგმა, **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტარტეგიული განვითარების მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი
სამეურვეო საბჭოს N6 ოქმი
პედაგოგიური საბჭოს N5 ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმი N8

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად და სემესტრის ბოლოს პასუხისმგებელმა პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში. როგორც მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მონიტორინგი მოიცავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო

გეგმით განსაზღვრული ამოცანებთან დაკავშირებით. ასევე განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გზები. სკოლის მონიტორინგის მექანიზმად შემუშავებულია ანგარიშების წადგენა სამუშაო ჯგუფისათვის. საჯაროობის უზრუნველყოფისათვის კი ანგარიშები უნდა განთავსდეს ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში, სკოლის სტენდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარება უნდა მოხდეს სკოლის ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში, სკოლის სტენდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანებაში, სადაც დეტალურად გაწერილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და სკოლაში დასაქმებული პერსონალის უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები გადანაწილებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში. სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც მკაფიოდ გამოჩნდა სკოლაში ვიზიტის დროს. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება.

სტრუქტურული ერთეულების დამტკიცების შესახებ ბრძანება

სამეურვეო საბჭოს ოქმები

პედაგოგიური საბჭოს ოქმები

მრჩეველთა საბჭოს ოქმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: რ. ხოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აგრეთვე სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის სამეურვეო საბჭოს დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით და სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შეფასების სისტემისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ეხმარება მას თანამშრომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, ძირითადი საჭიროებების განსაზღვრაში და შემდგომში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში, კერძოდ: ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლას ბრძანებით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის სრული დაცვით. ყოველი კონკურსის წინ სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომელშიც გაწერილია შიდა ან გარე კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, აქედან 28 მასწავლებელია, 22-უფროსი, 5-წამყვანი და 1 სპეციალური მასწავლებელი. მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ყველა დასაქმებულის პირად საქმეში იყო ნასამართელობის ცნობები. ერთი პედაგოგის პირადი საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებული დასაბუთების დროს წარმოდგინა პედაგოგის მიერ პირად საქმეში განთავსებული ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6.სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის წარმატების ფაქტები გაზიარებულია სკოლის სოციალურ ქსელში. ასევე, განიხილება კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომებზე. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები სკოლის შინაგანაწესის მიხედვით: მადლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებელები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, თუ კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
შრომითი ხელშეკრულებები
კონკურსის მასალები
პრემიის გაცემის ბრძანება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოკაშვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, რომლის მიხედვით სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების

გამოვლენას ანალიზის საფუძველზე და შემდგომში გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში, ავლენს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.  სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;  ეს საკითხი განხილულია სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“,  დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანალიზის საფუძველზე ახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა,  ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში;  უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლაში შექმნილია ხარისხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ს. სოლომონია

განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი არ არის თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ცალკე მარეგულირებელი აქტი, თუმცა სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა წახალისების ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. განხორციელებული ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ სკოლაში თანამშრომლური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობებია, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები., გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მონაცემები, კოლეგების შეხვედრები ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შეფასდება გარე შემფასებლის მიერ. ასევე გაწერილია როგორ მოხდება შეფასება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ამდენად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორცილებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა ხდება სკოლის შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებში: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, შინაგანაწესი, სასკოლო კურიკულუმი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტებში სტრუქტურულ ერთეულებსა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. ეს წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირზე, ვისაც სურს განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას. წესში აღწერილია რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადები, როგორ უნდა მოხდეს დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება. ასევე, განსაზღვრულია მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრებისა და თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი. სკოლის შინაგანაწესშიც გაწერილია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შინაგანაწესი
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
შრომითი ხელშეკრულებები
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

სამეურვეო საბჭოს ოქმები
პედაგოგიური საბჭოს ოქმები
მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები
ვებ გვერდი

○

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. ასევე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რაც შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს საფრთხის შემცველი ქმედებაზე რეაგირება. სკოლას ასევე ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, კონკურსის წესით შერჩეული ჰყავთ ექთანი, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, შემუშავებულია სამედიცინო დახმარების წესი. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული), მაგრამ არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი და მისი ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცვლელი, თუმცა სეისმიურ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობის შემდგომი ექსპლუატაციისთვის, საჭიროა დროულად ჩატარდეს გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მისი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია და ავარიული განათების სისტემა. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, მაგრამ არ აქვს მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ. ხოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 2024 წლის 15 ოქტომბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კონტროლდება უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის საშუალებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და იღებს სკოლის დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიების გატარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, სკოლა აღნიშნული მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რომელთა თანამშრომლობითაც სკოლა ცდილობს პრევენციული ზომების მიღებას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ზრდას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც შემუშავებული გეგმის შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს მონიტორინგს. სკოლას ჰყავს ორი დამლაგებელი, მოწესრიგებული აქვთ სველი წერტილები. სკოლას აქვს შეძენილი სანიტარული-ჰიგიენური საშუალებები და ახორციელებს მის მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრული არიან პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სისტემატურად ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონტორინგი, მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან ტარდება შეხვედრები, მათ აცნობენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს, პრინციპებს და მის მნიშვნელობას. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ერთი მუხლი ეთმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. დირექტორის განცხადებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა, არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოჯონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 13710.00 კვ.მ საერთო ფართით. სკოლის შენობა არის ახალი რეაბილიტირებული. არის ორსართულიანი, 13 საკლასო ოთახით, შიდა და გარე სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ისტ-ის კაბინეტი. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა. სკოლაში არ არის შესაფერისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ქიმიური ჭურჭლები, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები და სხვა თვალსაჩინოებები ინახება ერთ ოთახში, რომელსაც არ აქვს ბუნებრივი ვენტილაცია, არ აქვს შესაბამის ფართი და არ არის ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად სათანადო და უსაფრთხო პირობები, მიუხედავად ამისა, სკოლა წარმატებით იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას, მის ხელთ არსებულ ყველა ხელსაწყოს და რესურსს, რითაც საფრთხე არ ექმნება კურიკულუმის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული დარბაზები, სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სადაც არსებობს სამკითხველო დარბაზი. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას ჰყავს 5 სსსმ მოსწავლე, არის მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები, პირველ სართულზე არის პანდუსი, თუმცა შენობის მეორე სართულზე არ არის მოწყობილი პანდუსები. დაწესებულებამ განმარტა, რომ მსგავსი საჭიროების მქონე მოსწავლეები ამ ეტაპზე არ ჰყავს, მაგრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული მიმართულებით მოწესრიგდეს და განახლდეს ინფრასტრუქტურა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მითითებულია 2024 წლის 25 ოქტომბერი.** ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს რესურსოთახი, ვინაიდან ის დათმობილი აქვს სხვა სკოლის ადმინისტრაციას. დირექტორის განმარტებით, სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლას უტარდება რეაბილიტაცია და N211-ე სკოლა დროებით გადმოსულია მათი სკოლის შენობაში. ოთახების სიმცირის გამო დროებით დაუთმეს რესურსოთახი მეზობელი სკოლის ადმინისტრაციას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 2023 წლის 30 ნოემბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი.**

4. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტული ღონისძიებები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით, ასევე, აქვს ეზოში ღია სპორტული მოედანი, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტრა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა საგნობრივი კურიკულუმების განსახორციელებლად იყენებს როგორც საგნობრივ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით სხვა საგანმანათლებლო რესურსებს: კომპიუტერებს, პროექტორებს, საჭადრაკო დაფებს, რუკებს, რომლებიც ადგილზე დათვალიერების დროსაც იქნა წარმოდგენილი. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი და ლეპტოპები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია წიგნის მოვლის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, ყველა სახელმძღვანელოს აქვს წესის შესაბამისად მინიჭებული საინვენტარო ნიშანი და ინდექსი, გატარებული და დამუშავებულია ჟურნალში წესების დაცვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში ფუნქციონიებს კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია

IT კაბინეტით სარგებლობლის წესები და პირობები. აღნიშნულია, რომ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ისტ-ის მასწავლებელი და გაწერილია მისი ფუნქციები. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუებითაც. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის ძირითადი პრინციპებია სკოლის რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისათვის და სკოლის პერსონალისათვის და სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ბრძანებით დანიშნულია არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვ . ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც სკოლა ასევე ახორციელებს წერილების მიღებასა და გაგზავნას. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს, კერძოდ, 10 დეკემბრამდე ანგარიშის წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერ მინისტრისა და პარალამენტის თავმჯდომარისთვის, ანგარიშის საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნება, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საქმისწარმოების წესი
არქივზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
ანგარიში პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს
ანგარიში საკანონმდებლო მაცნეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე facebook გვერდს, მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს ვებგვერდს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, დახურული სოციალური ქსელებიდან, თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია შემდეგი ინფორმაციები: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ვებგვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

facebook გვერდი
სკოლის მოსწავლეების გამოკითხვები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების

განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილია საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის ბიუჯეტზე გათვალისწინებით, სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შესყიდვების წლიური გეგმა
შესყიდვების წლიური გეგმის ფორმა
წლიური გეგმის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა, რომელიც თითოეულ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

h. hოღონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნულს ადასტურებს მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები, ასევე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური გეგმებით და უზრუნველყოფენ მათ უფლებებს მიიღონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, ბრძანება წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურების შესახებ გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე, შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, მოსწავლის გადმოყვანისა ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შინაგანაწესი,

გასაჩივრების წესი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ვებ გვერდი

ინდ გეგმები

**4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,სსიპ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, განათლების აღიარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა აქტიურად მუშაობს ფეისბუქ გვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი*

*შინაგანაწესი*

*ვებ გვერდი*

*მშობლების თანხმობები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სადაც გათვალისწინებულია პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრული ღონისძიებები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაცია. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, შიდა და გარე სპორტული დარბაზების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ხელს უწყობს დირექციასთნ ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სემესტრული გამოცდები, თუ მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას უფლება აქვს სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება. თუმცა ამგვარი გამოცდა სკოლაში არ ჩატარებულა. სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლა მათ სთავაზობს დამატებით მომსახურებას ცეკვის წრის სახით. კლასის დამრიგებლების გეგმებისა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმის საფუძველზე წინასწარ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი არაფორმალური აქტივობა, პროექტი, ექსკურსია, საქველმოქმედო ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება, მხიარული სტარტები, გამოფენა და სხვა. კერძოდ: მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სასკოლო საზოგადოებასა და თემში შეგროვდა სურსათი და უკრაინის ომში დაზარალებული ოჯახებისათვის, მათივე ინიციატივით განხორციელდა სასკოლო პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით“. ტარდება კლასებს შორის შეჯიბრი ფრენბურთსა და ფეხბურთში, დაწყებით კლასებში ჩატარდა მხიარული სტარტები და გამარჯვებული მოსწავლეები შეხვდნენ 213-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს. ბიოლოგიის მასწავლებელმა სასკოლო პროექტის ,,ჯანსაღი ცხოვრების“ მიმართულებით ჩაატარა საბაზო-საშუალო საფეხურზე კონფერენცია თემაზე : ,, ჯანაღი ცხოვრება“. ამ პროექტის შემაჯამებელ პრეზენტაციას ესწრებოდა მთელი სასკოლო საზოგადოება. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სკოლის ეზოს გამწვანება

,,დავრგათ ერთი ხე“. სპორტული აქტივობის ფარგლებში ასევე 213-ე სკოლასთან ერთად ჩატარდა მხიარული სტარტები და მოსწავლეებს გადაეცათ წამახალისებელი საჩუქრები. საბაზო-საშუალო საფეხურზე ტარდება ინტელექტუალურ თამაშები ,,რა? სად? როდის?’’, ,,ტვინების ბრძოლა’’. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სამახსოვრო სიგელები. აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე, სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად, სკოლაში ტარდება გამოკითხვები, რომლის შედეგებიდან გამომდინარე სკოლა ითვალისწინებს მათ აზრებს და ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. ტარდება მშობელთა კრებები, სადაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბი ,,სოციუმი“, ძირითად მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთათვის კლუბის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა. ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლის ადაპტაციის წესი
მოსწავლეთა გამოკითხვის დოკუმენტები
სასკოლო კლუბის წესდება
პროექტები
სოციალური გვერდი

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათგან იღებენ ინფორმაციებს მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ. ეს მათ ხელს უწყობს თავიანთი მომავლის სწორად დაგეგმვაში. სკოლა თანამშრომლობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ სასამართლო პროცესში, რაც ეხმარება მოსწავლეებს სამომავლოდ პროფესიის არჩევაში. სამედიცინო კოლეჯმა წარადგინა პრეზენტაცია პროფესიული განათლების სარგებლიანობაზე. სკოლას აქვს პროფესიულ კოლეჯ ,,იკარუსთან" თანამშრომლობის გამოცდილება, რომლის ფარგლებში მოსწავლეები სკოლის ბაზაზე ეუფლებოდნენ სამი მართულებით კულინარია, სერვირება და საკონდიტრო საქმე. სარემონტო სამუშაოების გამო დროებით შეჩერდა სწავლება, თუმცა ახალი სასწავლო წლიდან თანამშრომლობა გაგრძელდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფორიენტაციის კურსის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაშ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლა მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები: სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრა, ასევე ვიზიტები საწარმოებში, უნივერსიტეტებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

პროფესიულ კოლეჯ ,,იკარუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები
მოსწავლეთა გამოკითხვები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში დაამტკიცდა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც განისაზღვრა სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები/ღონისძიებები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, განხორციელების პერიოდი. სკოლას ჰყავს 5 სსსმ მოსწავლე. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შეიმუშავეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა. ისგ შედგენილია მოსწავლის კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების, ინტერესებისა და ინდივიდუალურ შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები არაფორმალურ განათლებაში, მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში, სპორტულ შეჯიბრებებში, პროექტებში. სსსმ მოსწავლეები ინტეგრირებულები არიან სხვადასხვა კლასში და თითოეულ კლასში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.4.** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან





საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. სკოლას იჯარით აქვს გაცემული სპორტული დარბაზი, სადაც ფუნქციონირებს ცეკვის წრე. იჯარის ნებართვა მიღებულია როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ასევე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან. სკოლა აგრეთვე ჩართულია მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების პროგრამაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლის ფართის იჯარით გაცემის საკითხი განხილული და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*იჯარის ხელშეკრულება*

*ქონების სააგენტოს თანხმობა*

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა*

*ტრანსპორტის ტაბელი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ☐ **შესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც დასახელებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. დოკუმენტში აღწერილია შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები, მაგალითად: მასწავლებელი ვალდებულია, რომ მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. საგნობირივი კათედრის თავჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჩ. ჩოლოყაშვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. სკოლის დირექტორის მოადგილე ვალდებულია მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში (მაგალითად, Japanese Lesson Study- ის რეჟიმში); უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; ასევე საგნობირივი კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას მონაწილე მხარეების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მაგალითად, სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოდგინა ,,უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N5'', რომელშიც აღწერილია კათედრის სხდომაზე განხილული სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესებთან დაკავშირებული საკითხები: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება, ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობა, შეფასების ჰოლისტური მიდგომების გამოყენება, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრაზე წარადგენენ თავიანთ ხედვებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“, დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის“. ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, კონკრეტულად განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენისა და დაფიქსირების სისტემურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ აღწერილია, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად: მასწავლებელმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას). კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შექმნისას საგნობრივ კათედრაზე ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, აკვირდებიან სასწავლო პროცესს და სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვაში ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალებს, ელექტრონულ ჟურნალს, მშობელთა კრებებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების და საფეხურებრივი შედეგების ნაწილებისგან. წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია კონკრეტული კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები, მაგალითად: მესამე კლასში მასწავლებელმა წარმოდგენილი დავალება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე თემა-მზის სისტემა, კომპლექსური „ცნობისმოყვარე სოსო“ შეცვალა კომპლექსურით-„მზის სისტემა“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან მზის სისტემის მოდელი, ცვლილების მიზეზი არის ის, რომ მოსწავლეებს მოსწონთ მოდელების შექმნა. სკოლას აქვს პრაქტიკა კონკრეტული მოსწავლეებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიყენონ, როგორც შუალედური შედეგები და დაგეგმონ საჭიროებაზე ორიენტირებული აქტივობები. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების განხორციელების რამდენიმე ანალიზი, რომელშიც იკითხება რომ მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებას და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა **რჩევა**, რომ:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის კლასებში კურიკულუმებში დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნებები დამუშავდება თემაში გაწერილი საკითხების შესაბამისად და განისაზღვროს ქვეცნებები. აგრეთვე განისაზღვროს ყველა თემაში სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება გამახვილდეს ძირითადი და დამატებითი ტექსტების შერჩევაზე,კონტექსტმაგალითების მისადაგებასა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაზე.

2. სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის განვითარებაზე, რაც დასტურდება კურიკულუმში გათვალისწინებული საკითხებითა და კომპლექსური ბუნების დავალების იდეებით, რომელთა შინაარსიცა და აქტივობებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნებისყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად: სახელმწიფო ენის საგნობრივ კათედრაზე შერჩეულია შემდეგი კომპლექსური დავალებები: ზღაპრის დაწერა, პოსტერის შექმნა, შედარებითი დახასიათება,ხედვის კუთხის შეცვლა და ა. შ . VI-V კლასებში, საგან „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში, განახორციელეს, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ინტეგრირებული პროექტი „ღვინის კულტურა შინდისში“. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტომასალა, პრეზენტაცია, პროექტის გეგმა). მსჯელობას ამყარებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესახებ საუბარი, კომპლექსური დავალების პრეზენტაციები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტები, აქცენტი კეთდება მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა **რჩევა**, რომ:

სახელმწიფო ენის კათედრის დაწყებით საფეხურზე სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისე იყოს საკითხები შერჩეული, რომ ერთი თემის ფარგლებში აქტიურდებოდეს ყველა სამიზნე ცნება, მიუხედავად იმისა, ამუშავებენ თუ არა ამ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებებით.

3. ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი მტკიცებულებებისა (კომპლექსური დავალებების იდეები, პროექტების გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კათედრის სხდომის ოქმები) და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მასწავლებლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტირების შედეგად გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ დავალებების დაძლევის პროცესში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. დაწესებულების კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები ფორმისა და პროდუქტის დიფერენცირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, იციან თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სწავლის პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე, მათ მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში აისახება გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ერთმანეთში აზიარებენ დაწყებითი საფეხურის კათედრაზე, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმით. სემესტრის და სასწავლო წლის დასასრულს, პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და, ზოგადად, წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი (ისგ) ჯგუფის სხდომის ოქმი.
- კათედრის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (პროექტები, საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება (მაგალითად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები: მე-3 კლასი - ,,გაყიდვების მენეჯერი“, მე-4 კლასი - „ყვავილების ორანჟერია“, მე-5 კლასი - „მსოფლიოს მოსახლეობის ინტერნეტიზაცია“, მე-6 კლასი - „ღონისძიების დაგეგემვა“ და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრაზე არსებული კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. მაგალითად: შერჩეული კომპლექსური დავალებები: ,,გაყიდვების მენეჯერი“, „ყვავილების ორანჟერია“, „მსოფლიოს მოსახლეობის ინტერნეტიზაცია“ და სხვა. პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სკოლის დაწყებით საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მიერ ცოდნის თეორიულ შესწავლაზე, უნარების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, აღნიშნულს ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კათედრაზე არსებული საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები, პროექტები, შეფასების რუბრიკები. დასახელებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას (მაგალითად. სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-4 კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება „ყვავილების ორანჟერია“, მე-5 კლასის დავალება „მსოფლიოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსახლეობის ინტერნეტიზაცია“, სადაც საჭიროა მათემატიკის და ბუნებისმეტყველების საგნებში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება. სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი;
- პროექტების გეგმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

h. hოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ შეკითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე (მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?)... ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურისთვის წარმოდგენილი პროექტების მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმებისა და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახლმძღანელოებისა თუ სხვადასხვა ტექტსების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს. რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგობრივ

კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტისა და ვერიფიკაციის მექანიზნის ინსტრუმენტის მიხედვით მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, მოსწავლის შეფასების პროცესი იყოს ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. მასწავლებელი შეფასებისას დაეყრდნოს შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობს. 1) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, 2) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და 3) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია ვერიფიკატორის (ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის/პირების) შერჩევის, დადგენის, მუშაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, ინკლუზიური განათლების კონცეფციის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შეფასების პროცესში მიეცეთ ურთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტულ პრინციპს, რომელთა გათვალისწინებითაც დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების იდეები, საკლასო თუ სასკოლო პროექტები. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების ძლიერ და გასავითარებელ მხარეებზე. მოსწავლეებისათვის მისაცემი დავალების პირობების შინაარსები მოსწავლეებს აძლევს საკუთარ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. თითოეული დასახელებული დოკუმენტის შინაარსებით განსაზღვრულია ერთი თუ სხვადასხვა კლასის მოსწავლეების წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ხელშემწყობი აქტივობები. მასწავლებლები ინტერვიუირების დროს აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმისა თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;
- პედაგოგთა ურთიერთდასწრებების ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ხდება ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. საგნობრივ კათედრებზე პერმანენტულად განიხილება დაგეგმილი პროცესით მიღწეული შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მიზანს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება და მათი შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც სწავლობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჰ. ჰოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება, მასწავლებლისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს და განიხილავენ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი ფუნქცია პროცესისა თუ მოსწავლეების შედეგების განსავითარებელი მხარეების დადგენა და გადაჭრის ადეკვატური გზების ძიებაა. საგნობრივი კათედრების ოქმებისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხევდით, სკოლა საჭიროებების დადგენას ახდენს როგორც კლასის ისე, სკოლის დონეზე. საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების დადგენის შემდეგ კი ცვლილებები შეაქვთ, როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლასო თუ სასკოლო აქტივობების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად (დიაგნოსიტრება სკოლის დონეზე პარალელურ კლასებში) და 2)რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. აღნიშნული პროცესის გასახორციელებლად, სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადახსვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების თუ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს და მსჯელობენ რა შედეგები აქვთ შუალედურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მიმდინარეიობს სამიზნე ცნებებისა თუ საკითხების დამუშავების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - დიაგნოსტიკური შეფასება, რაც დაეხმარება კათედრას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვასა და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **☐ შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც დასახელებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. დოკუმენტში აღწერილია შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები, მაგალითად: მასწავლებელი ვალდებულია, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს საგნობრივი კათედრა და სკოლის დირექცია. საგნობირივი კათედრის თავჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. სკოლის დირექტორის მოადგილე ვალდებულია მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში (მაგალითად, Japanese Lesson Study- ის რეჟიმში); უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; ასევე საგნობირივი კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას მონაწილე მხარეების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მაგალითად, სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოდგინა ,,უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N5’’, რომელშიც აღწერილია კათედრის სხდომაზე განხილული სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესებთან დაკავშირებული საკითხები: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება, ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობა, შეფასების ჰოლისტური მიდგომების გამოყენება, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრაზე წარადგენენ თავიანთ ხედვებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“, დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის“. ინტერვიუს დროს საშუალო საფეხურის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა **რჩევა,** რომ დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ მოერგოს სკოლის სპეციფიკას, კონკრეტულად განისაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესის დადგენის პერიოდულობა და შესაბამისი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენისა და დაფიქსირების სისტემურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ აღწერილია, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად: მასწავლებელმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას). კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შექმნისას საგნობრივ კათედრებზე ერთმანეთთან აქტიურად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ, აკვირდებიან სასწავლო პროცესს და სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა კურიკულუმის დაგეგმვაში ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალებს, მშობელთა კრებებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების და საფეხურებრივი შედეგების ნაწილებისგან. წარმოდგენილი კურიკულუმების ნაწილში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილია კონკრეტული კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები, სკოლას აქვს პრაქტიკა კონკრეტული მოსწავლეებისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიყენონ, როგორც შუალედური შედეგები და დაგეგმონ საჭიროებაზე ორიენტირებული აქტივობები. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების განხორციელების რამდენიმე ანალიზი, რომელშიც იკითხება რომ მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებას და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომავალ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ:

- სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის მე- 10, მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნებები დამუშავდება თემაში გაწერილი საკითხების შესაბამისად და განისაზღვროს ქვეცნებები. აგრეთვე განისაზღვროს ყველა თემაში სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება გამახვილდეს ძირითადი და დამატებითი ტექსტების შერჩევაზე,კონტექსტმაგალითების მისადაგებასა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაზე.
- მე-12 კლასის კურიკულუმში განისაზღვროს შუალედური სასწავლო მიზნები.

2. სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის განვითარებაზე, რაც დასტურდება კურიკულუმში გათვალისწინებული საკითხებითა და კომპლექსური ბუნების დავალების იდეებით, რომელთა შინაარსიცა და აქტივობებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნებისყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარებაზე, მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, მსჯელობას ამყარებს საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესახებ საუბარი, კომპლექსური დავალების პრეზენტაციები და პროექტები, აქცენტი კეთდება მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან მიეცა რჩევა, რომ:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენის კათედრის საშუალო საფეხურზე სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისე იყოს საკითხები შერჩეული, რომ ერთი თემის ფარგლებში აქტიურდებოდეს ყველა სამიზნე ცნება, მიუხედავად იმისა, ამუშავებენ თუ არა ამ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებებით.

3. ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი მტკიცებულებებისა (კომპლექსური დავალებების იდეები, პროექტების გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კათედრის სხდომის ოქმები) და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მასწავლებლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტირების შედეგად გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ დავალებების დაძლევის პროცესში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. დაწესებულების კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა) განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები ფორმისა და პროდუქტის დიფერენცირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. საშუალო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, იციან თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სწავლის პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე, მათ მიერ დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში აისახება გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული პრაქტიკა, რომელსაც ერთმანეთში აზიარებენ საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე, რაც დასტურდება საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით. სემესტრის და სასწავლო წლის დასასრულს, პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და, ზოგადად, წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (პროექტები, საგნობრივი კურიოულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება (მაგალითად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები: მე-10 კლასში ,,სტატისტიკური მონაცემების გამოყენება“, „ნაკვეთის დაგეგმარება და ფართობის გამოთვლა“ და სხვა.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებზე არსებული საშუალო საფეხურის კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების ნიმუშები (მაგალითად: ,სტატისტიკური მონაცემების გამოყენება“, „ნაკვეთის დაგეგმარება და ფართობის გამოთვლა“ და სხვა) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სკოლის საშუალო საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მიერ ცოდნის თეორიულ შესწავლაზე, უნარების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, აღნიშნულს ადასტურებს საგნობრივ კათედრებზე არსებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები, პროექტები, შეფასების რუბრიკები. დასახელებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალება აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას (მაგალითად: მე-10 კლასის კომპლექსური დავალება „ნაკვეთის დაგეგმარება და ფართობის გამოთვლა", რომლის განხორციელების პროცესში მოსწავლეები მოახდენენ მათემატიკაში გეომეტრიული საკითხების ცოდნისა და გეოგრაფიაში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას. სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- პროექტების გეგმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ შეკითხვებს რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე (მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?)... ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სკოლის მიერ საშუალო საფეხურისთვის წარმოდგენილი პროექტების მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმებისა და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახლმძღანელოებისა თუ სხვადასხვა ტექტსების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს. რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგობრივ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტისა და ვერიფიკაციის მექანიზნის ინსტრუმენტის მიხედვით მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის მიზანია, მოსწავლის შეფასების პროცესი იყოს ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. მასწავლებელი შეფასებისას დაეყრდნოს შეფასების კრიტერიუმებს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობს. 1) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, 2) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და 3) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია ვერიფიკატორის (ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის/პირების) შერჩევის, დადგენის, მუშაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ს. სოლონაია

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- კურიკულუმი (სასკოლო სასწავლო გეგმა);
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, ინკლუზიური განათლების კონცეფციის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის" პრაქტიკა. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შეფასების პროცესში მიეცეთ ურთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები. პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.2. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მოიცავს სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტულ პრინციპს, რომელთა გათვალისწინებითაც დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების იდეები, საკლასო თუ სასკოლო პროექტები. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსების მიხედვით სწავლებისა და შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების ძლიერ და გასავითარებელ მხარეებზე. მოსწავლეებისათვის მისაცემი დავალების პირობების შინაარსები მოსწავლეებს აძლევს საკუთარ აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი კომენტარის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. თითოეული დასახელებული დოკუმენტის შინაარსებით განსაზღვრულია ერთი თუ სხვადასხვა კლასის მოსწავლეების წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის ხელშემწყობი აქტივობები. მასწავლებლები ინტერვიუირების დროს აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმისა თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტების გეგმები;
- პედაგოგთა ურთიერთდასწრებების ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ხდება ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და 2) რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. საგნობრივ კათედრებზე პერმანენტულად განიხილება დაგეგმილი პროცესით მიღწეული შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ მიზანს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება წარმოადგენს. კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება და მათი შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც სწავლობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, მასწავლებლისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს და განიხილავენ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი ფუნქცია პროცესისა თუ მოსწავლეების შედეგების განსავითარებელი მხარეების დადგენა და გადაჭრის ადეკვატური გზების ძიებაა. საგნობრივი კათედრების ოქმებისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხევდით, სკოლა საჭიროებების დადგენას ახდენს როგორც კლასის ისე, სკოლის დონეზე. საჭიროებების შესაბამისი ინტერვენციების დადგენის შემდეგ კი ცვლილებები შეაქვთ, როგორც საგაკვეთილო, ასევე საკლასო თუ სასკოლო აქტივობების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) რამდენად მიმინარეობს სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად (დიაგნოსიტრება სკოლის დონეზე პარალელურ კლასებში) და 2)რამდენად გადის დაგეგმილი პროცესი შედეგზე. აღნიშნული პროცესის გასახორციელებლად, სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადახსვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების თუ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს და მსჯელობენ რა შედეგები აქვთ შუალედურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მიმდინარეიობს სამიზნე ცნებებისა თუ საკითხების დამუშავების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება სიახლე - დიაგნოსტიკური შეფასება, რაც დაეხმარება კათედრას საგნობრივი სტანდარტების დანერგვის ხარისხის მორიტორინგში, გამოწვევების დანახვასა და მათი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დანერგვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ, რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელი მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ჰოლისტური ხასიათის შეფასებით, რა დროსაც ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველ ანგარიშებს, მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები, რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასების პროცესში სხვადასხხვა ფაქტორზე ყურადღების გამახვილებით გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა**

რაინდი როდონაია

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გიორგი მოდებაძე

ნანა სონღულაშვილი

ლანა კუჭავა

ელენე ოგბაიძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თეა ღვინიანიძე



მარინე შანშიაშვილი



ნანა შალამბერიძე



ევგენი გუგულაშვილი



კობა დეკანაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნანა ჩილინგარაშვილი

01.12.2023 წ.
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: